განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ნში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ-ში, #10 და #12 კორპუსებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკ. #013,033) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის განაკვეთის ანგარიშზე

განმარტება:

2012 წლის 28 ივნისის #233700 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (გაპ-ი) თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე მოქმედებს ფუნქციური ზონა - სზ-6, რონლისთვისაც განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური მაჩვენებელია კ2=2,5.

ქ. თბილისის მერის 2012 წლის 21 ივნისის #1631 განკარგულებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმად განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=3,5, რა დროისთვისაც მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 1 კვ.მ-ზე განისაზღვრებოდა 43 ლარით. შესაბამისად, მოსაკრებელის ოდენობამ შეადგინა 2993,0 ლარი, რომელიც გადახდილ იქნა ბიუჯეტში (იხ. ქვითარი),

ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 28 იანვრის #149 განკარგულებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კვლავ გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმად განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვრა კ1=0,6, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=5,6,

ფორმულა:

თანახმად, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის #7-41 გადაწყვეტილებისა, მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით:

$$X = \frac{L}{K2} \times (K2' - K2'') \times S$$

ანგარიში:

$$X = \frac{L}{K2} \times (K2' - K2'') \times S = \frac{43}{2,5} \times (5,6 - 3,5) \times 348 = 12570 \text{ ლარი}$$

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ნში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ-ში, #10 და #12 კორპუსებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკ. #013,033) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის გადახდის კალენდარული გრაფიკი

გადახდის თარიღი	თანხის ოდენობა
30,03,2014	1000 ლარი
30,04,2014	1000 ლარი
30,05,2014	1000 ლარი
30,06,2014	1000 ლარი
30,07,2014	1000 ლარი
30,08,2014	1000 ლარი
30,09,2014	1000 ლარი
30,10,2014	1000 ლარი
30,11,2014	1000 ლარი
30,12,2014	1000 ლარი
30,01,2015	1000 ლარი
28,02,2015	1570 ლარი
ჯამი:	12570 ლარი

შპს „ESSA GE“-ს დირექტორი:  ვ. ჯალაღონია

LIBERTY BANK

შემოსავლის ორდერი # 5073642021

www.swoop.ge - 40%-90%
ფასდაკლებები საუკეთესო
შეთავაზებებზე!

თარიღი: 12.12.2013

ბანკის დასახელება:	ქ.თბილისი, სს "ლიბერთი ბანკის" ცენტრალური ფილიალი საბურთალოს ს/ტ 2	დებეტი	GE61LB0080001005870000
ანგარიშის დასახელება:	თბილისის მერია ()	კოდი	220101480
შემომტანი:	გრიგოლ ტაბატაძე	კრედიტი	GE03LB0125152101627977
პირადობის საბუთი:	ID0374276	ვალუტა	GEL
დამადასტურებელი საბუთი:	პირადი ნომერი: 01024005010	თანხა	2993.00

თანხა სიტყვიერად: *ორიათას ცხრაასოთხმოცდაცამეტი ლარი*

შემოტანის დანიშნულება: *ქალაქ მშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ღირებულება (საკ.კოდი 01.14.02.013.033)განკარგულება#1631*

ხელმოწერები: _____ _____ _____ ბ.ა

ოპერატორი კონტროლიორი მთავარი

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით უფლებამოსილებას ვანიჭებ ბანკს საკუთარი შებოჭულებისამებრ ნებისმიერ დროს და ნებისმიერი რაოდენობით საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან მოითხოვოს და მიიღოს ჩემს შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები.

ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება №586

"20" მარტი 2014 წ.

ქ. თბილისში, ნუცუბიძის III მიკრორაიონში, I კვარტალის №10 და №12 კორპუსებს შორის არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.013.033), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 13 მარტის სხდომის №10 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ნუცუბიძის III მიკრორაიონში, I კვარტალის №10 და №12 კორპუსებს შორის არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.013.033), განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,6, კ2=5,6.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი". ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE13LB0125152101627894.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სანებართვო დეპარტამენტს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

წერილი №1174030

ნომერი: AR1202694

თარიღი : 08.03.2014

გაცემის თარიღი : 31.03.2014

გაცნობის თარიღი : 31.03.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის III მ/რ , I კვ. , N10 და N12 კორპუსებს შორის ;

ქ.თბილისი სამრეკლოს ქ.26

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952

ორგანიზაცია:
- შპს "ESSA GE" კოდი: 404401269

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

წერილი

თქვენი AR1202694 (08.03.14.) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი განიხილა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2014 წლის 13 მარტის #10 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ1=0.6-ით. ხოლო მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=5.6. ამასთან, „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების #35-ე მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობა განისაზღვრა Y=0.3-მდე.

დანართის სახით გიგზავნით ზემოთაღნიშნული სხდომის #10 (13.03.14.) ოქმიდან ამონარიდს და ქალაქ თბილისის მერის #586 (20.03.14.) განკარგულებას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge